«1574 წლის მცირე არტაანისა და ყარსის ლივის დავთარი»

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ-ის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება მეტად საინტერესო დავთარი არტაანისა და ყარსის ლივის შესახებ. დოკუმენტის შიფრია: 527. მისი ზომაა: 41×29,5 სმ. დოკუმენტი შედგება 156 გვერდისაგან. დანარჩენი გვერდები ყარსის ლივას შეეხება. მცირე არტაანის ლივა შედგება ჩრდილის, მზვარეს, გერმუჯექისა და ხოჯევანის ნაჰიეებისაგან. ყარსის ლივა მოიცავს ვირიშანისა და დოშქიას ნაჰიეებს. დავთრის შედგენის თარიღად მითითებულია 1574 წლის 23 მარტი. შესავალში საუბარია ალაჰისადმი მიმართვაზე, მაღალი ღვთაების მფარველობაზე, დავთრის შედგენაზე და სხვა. მეორე სვეტზე საუბარია არზრუმის ბეგლარბეგისადმი გაგზავნილი ჰუქმის თაობაზე. მანვე გამოგზავნა ბეჭდიანი დავთარი, რომელიც მცირე არტაანის სანჯაყს შეეხებოდა. ამ დავთარში რეგისტრირებული იყო 134 სიფაჰი. მათ, ბერათების თანახმად, ბერათების განახლების თესქერეები ებოძათ.

დავთარში აქვეა ჩართული ორი პატარა დოკუმენტი, რომლებიც დავთრის შედგენიდან ერთი წლის შემდეგაა შედგენილი. ორივე დოკუმენტს ერთი და იგივე თარიღი ახლავს. ერთი დოკუმენტი არზრუმის ბეგლარბეგისადმია გაგზავნილი, მეორე კი არტაანის ბეგლარბეგისადმი. პირველ დოკუმენტში საუბარია არზრუმის ბეგლარბეგის მიერ ბეჭდიანი დავთრის გამოგზავნის თაობაზე.

მომდევნო დოკუმენტის მიხედვით, მცირე არტაანი მეჰმედ ბეგს ებოძა. მან დაიკავა გარკვეული ადგილები და მოახერხა თიმარის მითვისება, მან უშრის მეათედი არ აიღო იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყო ვალდებულებისა და თექალიფი ურფიესაგან. მეჰმედ ბეგმა ბეგლარბეგისაგან ბერათი მიიღო, რომლის თანახმად, გადასახადები ვიღაცეებისათვის უნდა გადაეცათ. თესქერეს ბერათი გაიცა.

დავთრის მომდევნო მეათე გვერდზე საუბარია რეგისტრირებულ თიმარზე მცირე არტაანის ლივაში. აქვე ჩამოთვლილია ყველა თიმარის სახელწოდება, მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობით. კერძოდ, საუბარია მზვარეს ნაჰიეში არსებულ თიმარებზე. მათი რაოდენობა 30-ია. აქვე მითითებულია თიმარის მფლობელის სახელიც, სოფლის სახელები და მათზე გაწერილი გადასახადების ოდენობა.

მზვარეს ნაჰიეს მოსდევს ჩრდილის ნაჰიე, რომელშიც გაერთიანებულია 89 თიმარი. მითითებულია თიმარის მფლობელთა სახელები და თითოეულ თიმარზე შეწერილი გადასახადების ოდენობა. ჩრდილისა და მზვარეს ნაჰიეებში სულ 119 თიმარია გაერთიანებული.

ბოლოს მითითებულია გერმუჯექის ნაჰიე, რომელშიც 101 თიმარის მფლობელია წარმოდგენილი. ამით მთავრდება თიმარის მფლობელთა ჩამოთვლა, მათი შემოსავლების ჩვენებით.

დავთრის შემდეგ გვერდზე მითითებულია მხოლოდ ყარსის ვაკანტური ლივის თაობაზე. მთელ გვერდზე მიწერილია მხოლოდ ერთი წინადადება. ყარსის ლივის მემკვიდრეობა ცარიელია მოსახლეობისაგან.

ყარსის ლივა წარმოდგენილია დოშქიას ნაჰიეში. მასში გაერთიანებულია 21 სოფელი. საერთო შემოსავალია 139547 ახჩა. მას მოსდევს ვირიშანის ნაჰიე. აქ წარმოდგენილია 10 სოფელი, რომელთა საერთო შემოსავალია 195247 ახჩა. აქვე მეორე სვეტზე გაკეთებულია პატარა მინაწერი, რომ ძველი იჯმალის საფუძველზე

სიფაჰიები არაა წარმოდგენილი და არსებული სოფლები ცარიელია. დანარჩენი სოფლებიც აღწერილ იქნა და დანაწილდა. მათზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. სასაზღვრო ადგილებიც გაერანებულია. ეს ადგილები ახალ დავთარში არ შეუტანიათ.

მომდევნო 24-ე და 25-ე გვერდებზე წარმოდგენილია იმ 106 სოფლის სახელები, რომლებიც სიმონ ქართლის მეფემ ოსმალო ხელისუფალთ გადასცა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სოფლების აქ ჩამოთვლა. სოფლები დაყოფილია შემდეგ ნაჰიეებად. პირველად წარმოდგენილია გორის ციხის სოფლები. ესენია:

1. ურბნისი
2. რუისი, მეორე სახელი – უზუნ ქოი
3. სასირეთი
4. საქაშითი
5. თავათუბანი
6. ვარიანი
7. ზემო ახალთია
8. ქვემო ახალთია
9. არაშენდა
10. ახალშენი
11. გორის კითი
12. ჯიგრაშენი
13. ბიდაბითი
14. შულნითი
15. დირბუქი
16. დიკა
17. გორაჯვარი
18. კარალითი
19. თორტიზა
20. კილთუბანი
21. რამსუბისი
22. შაშვები
23. ნაწრეტი
24. ნადარბაზევი
25. ავაზანი
26. საბადარა
27. დილქლუდაში
28. იკორთა
29. გრაკალი
30. ხიდისთავი
31. ქვაშავი
32. ქვახვრელი
33. აგარა
34. მოხისი
35. გორისა

სულ 35.

თბილისის ციხის გარშემო:

1. საბურთალო
2. ლურჯი მონასტერი
3. წყნეთი
4. ვეძისი
5. ნავკისი
6. დაბალმელიქი
7. ზემო თელეთი
8. ქვედა თელეთი
9. კუმისი – სახასო მამული – 5.
10. კრწანისი

11. შინდისი
12. დილომი – სახასო
    მამული – 5.
13. ლისი
14. თხილვანა
15. წოდორეთი
16. ორბეთი

საერთო რაოდენობა – 16.

დმანისის ციხის გარშემო:

1. კიზილკია
2. ბაკა
3. გორისხული
4. თევდორიანი
5. ბაშალიხი
6. შაჰმირლეთი
7. ოქუნქურუმი
8. კირქვოვანი
9. მირაბდალი
10. შუა ქამი
11. დირანე
12. გორინჯაქი
13. გეგერიანი
14. ვარდისუბანი
15. ჩანჯუხური
16. ალთუნჯი ქენდი
17. ბიუქდუმანისი
18. არმანისი
19. მირავისი
20. ლაქლაქაშენი
21. ზემო თავქუდი
22. ქვემო თავქუდი
23. ვარზაქარა
24. ანგირვანი
25. შმაგირა
26. კალემშაჰი
27. მიჯა
28. თექნა
29. ესკიდუმანისი
30. ბესლითი
31. ახალშენი
32. გუბულენი
33. დილმაშენი
34. ქალდო

ჯამი, სოფლის რაოდენობა 34.

ლორის ციხის გარშემო:

1. ლიჯანი
2. დერმატოსი
3. აგარაკი
4. აშქანიქი
5. იაქდანიქი
6. ოჰანისი
7. ზემო კაკისი
8. ქვედა კაკისი
9. აღაქი
10. ამირ აქუზი
11. ჯიგრაშენი
12. აგარაკი
13. ისიქენდი
14. ვართაბლური
15. გიდათი
16. ზემო ვაჰაგითი
17. ქვემო ვაჰაგითი
18. თამიშგუდი
19. ზურგინჩი
20. გერგერი

ჯამი სოფლების – 20

ამ სიას აქვს სიმონ ქართლის მეფის პატარა მინაწერი, სადაც იგი ოსმალო ხელისუფალთ აუწყებს ამ 106 სოფლის ბოძების თაობაზე და მორჩილებისაკენ მოუწოდებს. ეს სოფლები ყველა რეგისტრირებულია დავთარში, იგულისხმება, რომ იგი ოსმალო ხელისუფალთა განკარგულებაშია. მას ოსმალო მოხელეები განაგებენ. ამ ტერიტორიების თაობაზე ცნობა გაგზავნილია ოსმალეთის ხელისუფლებისადმი. ამ გლეხებისა და აზნაურების ბედი ამიერიდან დამოკიდებულია ოსმალეთის ხელისუფლებაზე. ანი ბრძანება და განკარგულება სულთნის ნებაა. აქვე ხელს აწერს სიმონ ქართლის მეფე.

მომდევნო გვერდზე წარმოდგენილია თულრა სელიმ სულეიმანის ძისა. სელიმ II-ის (1566-1574) შესახებ თულრა ასე იკითხება: „სულთან სელიმ ხანი, სულეიმან ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული".

შემდეგ იწყება .თითოეული ლივის განხილვა თიმარებისა და ზიამეთების წარდგენით. საუბარია მათ შემოსავლებზე. დავთარი იწყება მცირე არტაანის ლივით. გადმოცემულია, რომ ხსენებული ლივის ხასის შემოსავალი შეადგენს 2000 ახჩას. ასევე წარმოდგენილია სიფაჰებისა და სიფაჰიზადეგანების არუსანეს შემოსავალი წელიწადში 2000 ახჩას ოდენობით. საერთო ჯამი 4000 ახჩა.

შემდეგ საუბარია მცირე არტაანის მირლივას მეჰმედ ბეგის ხასებზე. წარმოდგენილია მზვარეს ნაჰიე, აქ დასახელებულია შვიდი სოფელი თავისი შემოსავლებით. საერთო ჯამია 38000 ახჩა.

მზვარეს ნაჰიეს მოსდევს ჩრდილის ნაჰიე ხსენებულ ლივაში, მასში წარმოდგენილია 11 სოფელი თავისი შემოსავლითა და წილით. საერთო რაოდენობაა 63000 ახჩა. მას მოსდევს ხოჯევანის ნაჰიე, რომელშიც წარმოდგენილია 6 სოფელი თავისი შემოსავლებით. ამ სოფლების შემოსავლის საერთო ჯამი შეადგენს 45600 ახჩას.

არტანუჯის ლივაში ნახევარი ცხვრის გადასახადი პატიოსან ზაიმთა და თიმართა გამორიცხვით წელიწადში შეადგენს 5000 ახჩას.

შემოსავლები სამღებრო და შავ დამღაზე იჰსანსა და იჰზარიეზე, წელიწადში იძლევა 4000 ახჩას.

შემოსავალი იალაღებზე ხსენებული ლივის სიფაჰთა თიმარებისა და ზაიმთა და ზაიმებისა წელიწადში 3000 ახჩაა.

სახალხო ხაზინის შემოსავლები თუ 10000-ზე ნაკლებია, სახასო ადგილების გამორიცხვით, გადახვეწილთა, დაკარგულთა, მოძებნილთა, გაქცეულთა და სხვათა ქონებაზე ხსენებულ ლივაში, წელიწადში გადახდებათ 1000 ახჩა.

ასევე იყო გადასახადი ფოცხვერის ტყავზე წელიწადში – 400 ახჩა.

იყო აგრეთვე ხსენებული ლივის ნახევარი ბადიჰავასა და სიფაჰთა თიმარების არუსანეს პატიოსანი თიმარების ხარჯით გამორიცხვით, წელიწადში 7000 ახჩა.

ჯამი იყო 20400 ახჩა.

საერთო ჯამი – 167000 ახჩა.

დავთარში შემდეგ ცალკე განხილულია არტაანის ლივაში შემავალი ნაჰიეები: მზვარეს, ჩრდილის და, ბოლოს, გერმუჯექის ნაჰიე. ჩვენც მივყვეთ ამ ლივების თანმიმდევრობას. აქ ლივები წარმოდგენილია თიმარების სახით. მთელი ნაჰიეები დაყოფილია სოფლებად. თითოეულ თიმარში გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი, ნაჩვენებია თითოეული სოფლის შემოსავალი, მათი ჯამი და წილიც. შემდეგ დაჯამებულია თითოეული თიმარის ოდენობა ახჩებში.

მზვარეს ნაჰიე იწყება მეჰმედ ბეგის ძმის თიმარით, რომელიც ფლობს სამ სოფელს, მისი საერთო შემოსავალია 13500 ახჩა. შემდეგი თიმარი მეჰმედ ბეგის ძმას ეკუთნის, რომლის შემოსავალია 11000 ახჩა. ხშირია თითო კომლიანი ოჯახებიც, რომლებსაც მკაცრად აქვს განსაზღვრული გადასახადები და ვალდებულებანი. არის რიგი სოფლებისა, რომლებიც გადასახადებს იხდიან დავთრის ხარჯის გამორიცხვით. ასეთი სოფელი არაერთია დავთარში. მზვარეს ნაჰიეში სულ წარმოდგენილია 68 თიმარი, მათგან ზოგიე-

რთი დავთრისაგან გამორიცხვით, თავისუფალია გადასახადთაგან. ჩვეულებრივ, თითოეული კომლი დაბეგრილია შესაბამისი გადასახადებით. მერე დაჯამებულია თითოეული სოფლის გადასახადი, თითოეულ თიმარში შემავალი გადასახადი.

შემდეგი ნაჰიეა ჩრდილის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. მასში წარმოდგენილია 164 თიმარი. არის ერთ სოფლიანი და მრავალსოფლიანი თიმარებიც. ამ ნაჰიეშიც არის სოფლები, რომლებიც გერმუჯექის ნაჰიეში შედიან, მაგრამ მიწერილები არიან ჩრდილის ნაჰიეში. აქვეა არაერთი სოფელი, რომლის ხარჯი დავთრიდან გამორიცხულია. ისე ყველა სოფელი იხდის გადასახადებიდან წილს და დაჯამებული აქვს ყოველ სოფელს გადასახადთა ოდენობა. ასევეა თითქმის ყველა სოფელში, რომელიც კი ჩამოთვლილია მთელ მცირე არტაანის ლივაში.

ბოლო ნაჰიე არის გერმუჯექის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. მასში წარმოდგენილ ნაჰიეში რეგისტრირებულია 28 თიმარი, მკაცრადაა დადგენილი გადასახადების ოდენობა და წილი. ამ ნაჰიეშიც არის თიმარები, სადაც გამორიცხულია დავთრის ხარჯები.

ამრიგად, 1574 წლის მცირე არტაანის ლივის დავთარი საუკეთესო წყაროა ხსენებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის უკეთ წარმოსაჩენად. მასში არაერთი რეალიაა აღნიშნული მხარის ზოგი მოვლენის შესასწავლად. როგორც ვნახეთ, ნაშრომში წარმოდგენილია სიმონ ქართლის მეფის მიერ ჩამოთვლილი 106 სოფლის სახელწოდება, რომლებიც მან გადასცა ოსმალო ხელისუფალთ, აქვეა პატარა მინაწერიც, რომელშიც იუწყება, რომ იგი ამ სოფლებს უბოძებს ოსმალო ხელისუფალთ.